



მიტროპოლიტი ილარიონი: როცა მონასტრიდან მონაზვნების განდევნა და ჯვრის აფეთქებაა შემოთავაზებული, ამას არავითარი გამართლება არ გააჩნია



2021 წლის 18 დეკემბერს გადაცემაში „ეკლესია და მსოფლიო“, რომელიც შაბათს და კვირას ტელეარხ „Россия 24“-ზე გამოდის, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა გადაცემის წამყვანის, ეკატერინე გრაჩევას და ტელემაყურებლების კითხვებს უპასუხა.

ე. გრაჩევა: გამარჯობა! ეს არის გადაცემა „ეკლესია და მსოფლიო“ ტელეარხ „Россия 24“-ზე. ჩვენ ყოველ გამოსასვლელ დღეს რუსეთსა და მსოფლიოში არსებულ მთავარ თემებზე კითხვებს ვუსვამთ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს. მეუფევ, მოგესალმებით!

მიტროპოლიტი ილარიონი: მოგესალმები, ეკატერინე! მოგესალმებით, ძვირფასო ძმებო და დებო!

ე. გრაჩევა: ამ კვირაში სახელმწიფო სათათბიროს ოჯახის, ქალთა და ბავშვთა საკითხების კომიტეტი მხარს დაუჭერს კანონპროექტს ინტერნეტში ფილმებისა და სერიალების ჩვენების მოთხოვნების

გამკაცრების შესახებ, სადაც არის არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების სცენები და გადახრები. ახლა, როგორც ვიცით, ეს კანონი კრძალავს არასრულწლოვანთა შორის პროპაგანდას. მოცემული ინიციატივა – ეს უკვე პირდაპირი შესვლაა ზრდასრულების ტერიტორიაზე, რომლებმაც არჩევანი გააკეთეს: მათ თავად გადაწყვიტეს, ვისთან ერთად იცხოვრონ, როგორი ეროტიკული შინაარსის ფილმებს უყურონ. როგორ მიგაჩნიათ, არის თუ არა ეს ზრდასრული არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების უფლებების დარღვევა?

მიტროპოლიტი ილარიონი: მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება მოანესრიგოს საინფორმაციო პოლიტიკა არა მხოლოდ ტელეარხებზე, არამედ ინტერნეტშიც – იმ მოედნებზე და პლატფორმებზე, რომლებსაც სახელმწიფო აკონტროლებს. ინტერნეტში ბევრი უკონტროლო კონტენტია, და ვისაც მათი მოძიება სურთ, ისინი გვერდს აუვლიან აკრძალვებს, რომლებიც ამის შესახებ არსებობს.

მაგრამ საკითხი ხომ იმაში მდგომარეობს, თუ რა პროდუქტია ხალხისთვის შეთავაზებული, რას უყურებენ ისინი. შეზღუდვები უკვე არსებობს: აკრძალულია, მაგალითად, ძალადობის სცენები, უცენზურო ლექსიკა, მიუხედავად ამისა, ინტერნეტში ბევრია ერთი და მეორეც. მე ვფიქრობ, ეს აკრძალვაც იქნება გვერდავლილი. ამასთან, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მიმართულია ოჯახის მთლიანობის შენარჩუნებისკენ, ტრადიციული ოჯახის (ანუ, რომელიც შედგება ორი მეუღლისგან – კაცისგან და ქალისგან) მხარდასაჭერად, უნდა იყოს მხარდაჭერილი, განსაკუთრებით დღევანდელ რთულ დემოგრაფიულ პირობებში.

ე. გრაჩევა: მოსკოვში ხელი მოეწერა ქარტიას „ბავშვობის ციფრული ეთიკა“, მას შეუერთდა ცხრა ინტერნეტკომპანია. ეს ქარტია განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს, ღირებულებებს და ქცევის ნესებს ონლაინ სივრცეში. ამ ქარტიაში გასანვერციანებლად მინვეული არიან უცხოური კომპანიებიც, სხვა საკითხია, ისინი მოინდომებენ თუ არა განვერციანებას. ბოლო დრომდე, მე არ მახსოვს, რომ უცხოური კომპანიები ცდილობდნენ ხელი მოეწერათ რაიმე ეთიკის კოდექსისთვის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. როგორ ფიქრობთ, ეს ინიციატივა მნიშვნელოვანია?

მიტროპოლიტი ილარიონი: მე ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და დროული ინიციატივაა, რადგან ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი შვილები ყველა სახის მავნე გავლენისგან. სამწუხაროდ, რასაც ახლა დასავლეთში ვხედავთ – ეს სხვა არაფერია, თუ არა ბავშვების გარყვნა, რომლებსაც თითქმის ჩვილობიდან, სკოლამდელი ასაკიდან სხვადასხვა სახის სექსუალური გარყვნილების სწავლებას უწყებენ. როცა ბიჭს ეუბნებიან: შენ ჯერ კიდევ უნდა მოიფიქრო, ბიჭი ხარ თუ გინდა გოგო გახდე, და თუ გინდა გოგო გახდე, მაშინ ამაში დაგეხმარებიან; ჩვილობიდანვე უნერგავენ, რომ ბიოლოგიური სქესი – ეს სხვა რამეა, ვიდრე გენდერი, რომელიც თითქოს ადამიანს თავად შეუძლია თავისთვის აირჩიოს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ბავშვებსა და მოზარდებს სქესის შეცვლის ოპერაციებს უტარებენ. მე ვფიქრობ, რომ მისასალმებელია ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მიმართულია ბავშვების ამგვარი გავლენისგან თავის დასაცავად, მაგრამ ვეთანხმები იმასაც, რომ უცხოური კომპანიები, რომლებიც არ უჭერენ მხარს ასეთ პოლიტიკას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ წამოწყებას შეუერთდნენ.

ე. გრაჩევა: მეუფევ, მოსკოვში ჩატარდა სრულიად რუსული კონფერენცია თეოლოგიაზე (თუმცა იქ უცხოელი მონაწილეებიც იყვნენ). პატრიარქმა კირილემ და რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა

მისაღმებები გაგზავნეს. აღსანიშნავია რომ კონფერენცია მოსკოვის ფიზიკურ-საინჟინრო ინსტიტუტში (МИФИ) გაიხსნა, და რუსეთის პრეზიდენტთან არსებულ სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო სამსახურის აკადემიაში (РАНХиГС) გაგრძელდა – საერო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ბევრს კითხვა გაუჩნდეს: რა საჭიროა საერო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის, რომლებიც უკვე დიდი რაოდენობის დისციპლინებით არიან გადატვირთულები, კიდევ თეოლოგია, რა კავშირია აქ? ასეთ სკეპტიკოსებს რას უპასუხებდით?

მიტროპოლიტი ილარიონი: მე უკვე მრავალი წელია ასეთ სკეპტიკოსებს ვპასუხობ, ვინაიდან მე მოსკოვის ფიზიკურ-საინჟინრო ინსტიტუტში თეოლოგიის კათედრის გამგე ვარ. როდესაც ცხრა წლის წინ ჩვენ ეს კათედრა შევქმენით, გაჩნდა უამრავი კითხვა: რაში სჭირდებათ ბირთვულ მეცნიერებს თეოლოგია? ასეთი კითხვებს სვამენ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებითაც, სადაც თეოლოგიის კათედრები გაჩნდა. მაგრამ იგივე წარმატებით შეიძლება დაისვას კითხვა: რაში სჭირდებათ ბირთვული დარგის მეცნიერებს რუსეთის ისტორიის ცოდნა ან დოსტოევსკის და საერთოდ ლიტერატურის შესწავლა?

თავად სიტყვა „უნივერსიტეტი“ გულისხმობს, რომ ამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადამიანი მიიღებს არა მხოლოდ ვიწრო სპეციალიზაციას, არამედ ცოდნას საგნების ფართო სპექტრში. არავინ ახვევს თავს თეოლოგიას არც ბირთვულ მეცნიერებს და არც ეროვნული მეურნეობისა და სახელმწიფო სამსახურის დარგის სპეციალისტებს. თუმცა, თეოლოგიის კათედრები და თეოლოგიის პროგრამები არსებობს იმისთვის, რომ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ რელიგიურ ტრადიციებს გაეცნონ და ამა თუ იმ რელიგიურ ტრადიციის შესახებ მისი მატარებლების ბაგეებიდან გაიგონ, ამის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ჩვენი სტუდენტები ასეთ შესაძლებლობას სამოცდაათი წლის განმავლობაში მოკლებულები იყვნენ. რელიგია ყოველმხრივ დადუმებული იყო, იყო დევნილი და სტუდენტებს ეგრეთ წოდებულ „მეცნიერულ ათეიზმს“ ასწავლიდნენ, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენდა სხვადასხვა სახის მითების კრებულს რელიგიურ ტრადიციებზე. ახლა ჩვენ მოვახერხეთ ამ მდგომარეობის გამოსწორება და თეოლოგია სახელმწიფოს მიერ აღიარებული სამეცნიერო საგანია, ეს არის სამეცნიერო სფერო. ჩვენ გავცემთ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დიპლომებს თეოლოგიაში, სახელმწიფოს მსგავს დიპლომებს.

მაგრამ ეს არ კეთდება ხალხის ინდოქტრინიზაციის მიზნით: ჩვენ თეოლოგიის კათედრებს არ ვაქცევთ ეკლესიის ამბიონებად. ჩვენ მხოლოდ მსურველ სტუდენტებს ვაძლევთ შესაძლებლობას, გაეცნონ რელიგიურ ტრადიციებს და მიიღონ ინფორმაცია, როგორც იტყვიან, პირველი პირიდან.

გარდა ამისა, როგორც მისასაღმებელ სიტყვაში ითქვა, რომელიც პრეზიდენტმა ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინმა ჩვენს კონფერენციაზე გამოუგზავნა, „რელიგიური ტრადიციების შესწავლა – ეს საზოგადოებაში სტაბილურობის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია“, რადგან, სამწუხაროდ, დღეს ბევრი ექსტრემისტი და ტერორისტი თავის ქმედებებსა და იდეოლოგიას რელიგიური ლოზუნგებით ხსნის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის ყველა სტუდენტმა იცოდეს, სად და რომელი რელიგიაა, და რას ასწავლის: მაგალითად რას წარმოადგენს ისლამის მოძღვრება, და რას – მისი დამახინჯება. ამისთვის იქმნება თეოლოგიური კათედრები და ეს რელიგიათაშორისი პროექტია. მასში მონაწილეობენ

მართლმადიდებლებიც, მუსლიმებიც და იუდეველებიც - რუსეთში ტრადიციული რელიგიების წარმომადგენლები.

ე. გრაჩევა: მეუფევ, ნინა დღეებში თქვენ წარმოადგინეთ ახალი პროექტი „ერთად ვკითხულობთ ბიბლიას“: „ახალი აღთქმა“ – წმინდა წერილი აუდიო ფორმატში, რომელსაც მსახიობები როლების მიხედვით კითხულობენ. არის მუსიკალური აკომპანიმენტი და თქვენ, როგორც კომპოზიტორი, მონაწილეობთ ამ პროექტში. თავისი არსით, ეს არის აუდიო სპექტაკლი. როდესაც ამის მსგავსად მიმდინარეობდა ლევ ტოლსტოის, დოსტოევსკის, პუშკინის ნაწარმოებების კითხვა, ამან მაყურებლის დიდი რაოდენობა მიიპყრო. როგორ ფიქრობთ, წმინდა წერილს დღეს ისეთივე მასობრივი აუდიტორიის შეკრება შეუძლია?

მიტროპოლიტი ილარიონი: წმინდა წერილი მასობრივ აუდიტორიას უკვე აგროვებს. მოდით არ დავივიწყოთ, რომ ბიბლია – ეს ყველაზე ნაკითხვადი და წიგნების ბეჭდვის გამოგონების შემდეგ ყველაზე ხშირად გამოცემული წიგნია დედამიწაზე. რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ბიბლია ასევე აუდიო ფორმატშიც ისმოდეს? დღეს ბევრი არ კითხულობს დაწერილ ტექსტებს, ამავდროულად საათობით უსმენენ რაღაცას, როცა, მაგალითად, სამსახურში მანქანით მიდიან. მთელი ახალი აღთქმა – ეს არის მხოლოდ 20 საათი აუდიო ფორმატში, ხოლო მთლიანი ბიბლია – სხვადასხვა ვერსიებიდან გამომდინარე – 120-დან 150 საათამდეა აუდიო ფორმატში, ანუ არ არის რაღაც ზეზუნებრივი მიღწევა – მთელი ბიბლიის მოსმენა რამდენიმე კვირაში.

რატომ გადაწყვიტეთ ბიბლიის გაკეთება როლების ნაკითხვის სწორედ ასეთ ფორმატში? იმის გამო, რომ ის აღქმას ძალიან აცოცხლებს, და როდესაც მუსიკაზე იდება, ძალიან ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, თუნდაც წმინდა ესთეტიკურს. უნდა ვთქვა, რომ ამ პროექტში მე ვმონაწილეობდი როგორც არა მხოლოდ კომპოზიტორი. ყველა თავს რამდენჯერმე ვუსმენდი, ვასწორებდი აქცენტებს, ვმუშაობდი მსახიობებთან, ვაღწევდი იმას, რომ მსახიობებს ბუნებრივად წაეკითხათ, და არა ისე, როგორც მათ ზოგჯერ სჩვევიათ, ხელოვნური ინტონაციით.

ეს პროექტი პატრიარქს მის 75-ე წლის იუბილეზე წარვუდგინე. დიდი იმედი მაქვს, რომ ის მოთხოვნადი იქნება არა მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში, არამედ სხვა ქრისტიანულ კონფესიებშიც. მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელია უსასყიდლოდ: საკმარისია თქვენს მობილურ ტელეფონზე შეხვიდეთ AppStore-ში ან სხვა სერვისებში, აკრიფოთ „**Читаем Библию вместе**“ („ერთად ვკითხულობთ ბიბლიას“) და დაუყოვნებლივ მიიღებთ ამ პროდუქტს უფასოდ. მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ნაწილია მზად – ახალი აღთქმა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ 2022 წლის განმავლობაში ბიბლიას სრულად დავასრულებთ.

ე. გრაჩევა: გილოცავთ ახალ როლს. ფაქტობრივად, თქვენ ამ პროექტის როგორც შოურანერი გამოხვედით, – როგორც აშშ-ში იტყოდნენ.

მეუფევ, ესპანეთში გაცხარებული დისკუსიები გრძელდება „ისტორიულ ხსოვნასთან“ დაკავშირებულ

კანონზე, რომელსაც ახლა მთავრობა ამუშავებს. პარლამენტმა ეს ზამთრის განმავლობაში უნდა განიხილოს. ეს კანონპროექტი მიზნად ისახავს ფრანკოს რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის განდიდებას და, კერძოდ, გულისხმობს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კათოლიკური ძეგლის სეკულარიზაციას. საუბარია „დაცემულთა ველზე“ („Долина павших“). კანონპროექტის მიხედვით, ბენედიქტელები მონაზვნებს (ნმინდა ბენედიქტეს ორდენი) სააბატოდან განდევნიან და 150 მეტრიან ჯვარს (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი), რომელიც კომპლექსის თავზე მდებარეობს – ააფეთქებენ. თქვენ ალბათ თვალყურს ადევნებდით ამ კანონპროექტის განხილვას. როგორ კომენტარს გაუკეთებთ ამას?

მიტროპოლიტი ილარიონი: მე არა მარტო თვალყურს ვადევნებდი კანონპროექტის მიმდინარეობას, არამედ შევხვდი ამ თემასთან უშუალოდ დაკავშირებულ ზოგიერთ პირს, კერძოდ, ესპანეთის ელჩს. ჩვენ ძალიან შემოფოთებული ვართ იმ დისკუსიებით, რაც ამ ძეგლის ირგვლივ მიმდინარეობს. ისტორიული ხსოვნის აღდგენა – ეს ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივი მყოფობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს ეხება როგორც ჩვენს ქვეყანას, ასევე ესპანეთს. მაგრამ როცა, ისტორიული ხსოვნის აღდგენის ან აქცენტის ამა თუ იმ მხარეზე გადატანის საფარქვეშ შემოთავაზებულია მონაზვნების მონასტრიდან გაძევება, ჯვრის აფეთქება, მაშინ ამას, რა თქმა უნდა, ვერანაირად მხარს ვერ დავუჭერთ. ამას ჩვენი გადმოსახედიდან არანაირი გამართლება არ აქვს.

მოდით, ჩვენი ისტორია გავიხსენოთ. ჩვენთან ხომ ტაძრებსაც აფეთქებდნენ, ჯვრებსაც ანადგურებდნენ, ხატებსაც წვადნენ – ამ ყველაფერს ცარიზმის მემკვიდრეობა ეწოდა. მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძარი ააფეთქეს, რადგან ეს „ცარიზმის მემკვიდრეობა“ იყო. ახლა კი ზუსტად მსგავსი მოღვაწენი, რომლებიც ესპანეთის ხელისუფლებაში მოვიდნენ, ამბობენ, რომ 150-მეტრიანი ჯვარი უნდა ააფეთქონ, რადგან ეს „ფრანკოიზმის მემკვიდრეობაა“. ახლა არ აქვს მნიშვნელობა, ეს ვისი მემკვიდრეობაა, თუკი ჯვარი დგას. ჯვარი – ეს ქრისტიანობის სიმბოლოა. ის ქრისტეს სადიდებად ააღმართული და არა ფრანკოს ან სხვა რომელიმე დიქტატორის საპატივცემულოდ.

თუ „დაცემულთა ველის“ შესახებ ვილაპარაკებთ, მაშინ მართლაც, ეს მემორიალური კომპლექსი ფრანსისკო ფრანკოს დროს შეიქმნა. მაგრამ იქ 30 ათასზე მეტი ადამიანია დაკრძალული – ესენი სამოქალაქო ომის მსხვერპლნი არიან, რომლებიც სხვადასხვა მხარეს იბრძოდნენ. მონაზვნები ამ ხალხის განსვენებისთვის ლოცულობენ. რატომ უნდა განდევნონ ისინი მონასტრიდან – ამას ვერავინ ხსნის. ჩვენ დიდად ვიმედოვნებთ იმას, რომ გონიერება გაიმარჯვებს და ისეთი გადანწყვეტილებები მიიღება, რომლებიც ყველა გარდაცვლილის ხსოვნის შენარჩუნების შესაძლებლობის მომცემი იქნება, მაგრამ ამასთანავე მთის წვერზე ჯვარი დარჩება, და ბერები განაგრძობენ თავიანთ მსახურებას იმ მონასტერში, რომელშიც ამჟამად ცხოვრობენ და შრომობენ.

იმედი მაქვს, რომ კათოლიკური ეკლესია შეძლებს ამ ძეგლების დაცვას, და ესპანეთის ხელმძღვანელობა მიიღებს სწორ და დაბალანსებულ გადაწყვეტილებებს.

ე.გრაჩევა: დიდი მადლობა, მეუფევე, რომ ამ საიხლებს კომენტარი გაუკეთეთ.

მიტროპოლიტი ილარიონი: გმადლობთ, ეკატერინე.

გადაცემის მეორე ნაწილში მიტროპოლიტმა ილარიონმა უპასუხა მაცურებლების შეკითხვებს, რომლებიც გადაცემის „ეკლესიისა და მსოფლიოს“ ვებ-გვერდზე იყო გამოგზავნილი.

კითხვა: მოგესალმებით, მეუფე ილარიონ! ჩვეულებრივად მღვდელთან აღსარებაზე სათითაოდ მისვლაა მიღებული, მაგრამ ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვხდები საზოგადო აღსარების მოწმე, სადაც ინდივიდუალური კავშირი არ არის, და მღვდელი შენდობის ლოცვებს კითხულობს და ყველას საერთო ლოცვა-კურთხევას აძლევს. სწორია თუ არა ასეთი აღსარება და ამ ვარიანტით ხდება თუ არა ცოდვების მიტევება?

მიტროპოლიტი ილარიონი: საზოგადო აღსარება – ეს ინდივიდუალური აღსარების იძულებითი შემცვლელია. ეს ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც ძალიან ბევრი აღმსარებელია, როდესაც, მაგალითად, მხოლოდ ერთი მღვდელია, მაგრამ სამასი ადამიანი მოვიდა აღსარებაზე და მას ესმის, რომ თითოეულის ცალ-ცალკე მოსმენას და ამავე დროს ღვთისმსახურების შესრულებას ვერ შეძლებს. ასეთ შემთხვევებში საზოგადო აღსარება აღესრულება. საბჭოთა პერიოდში ეს საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო, რადგან მღვდელი ცოტა იყო, ხოლო მრევლი – ბევრი. პოსტსაბჭოთა პერიოდში ეს პრაქტიკა თანდათან გავიდა მოხმარებიდან.

ბოლო დროს ის აღორძინებას განიცდის კორონავირუსის პანდემიის გამო – ეს ერთ-ერთი სანიტარული ღონისძიებაა, რომელიც გამოიყენება იმისთვის, რომ დაინფიცირების რისკი შემცირდეს. როგორც თქვენ გესმით, თუ მღვდელი თითოეულ ადამიანთან ცალ-ცალკე ისაუბრებს, დაინფიცირების რისკი სერიოზულად იზრდება. მაგრამ ეს დროებითი ღონისძიებაა, ის მიმართულია სწორედ იქითკენ, რომ ყველა ჩვენგანს დაეხმაროს სწრაფად დავაღწიოთ თავი ამ პანდემიას.

საზოგადო აღსარება ინდივიდუალური აღსარების ასპრონცეტიან შემცვლელს არ წარმოადგენს. ხანდახან მაინც, თვეში ერთხელ ან რამდენიმე თვეში ერთხელ, საჭიროა ინდივიდუალურ აღსარებაზე მისვლა, რადგან თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი ცოდვები, რომლებიც მან თავისი ბაგეებით თავად უნდა დაასახელოს, მღვდელმა კი უნდა მოისმინოს ისინი, ილოცოს ამ ადამიანზე და შენდობის ლოცვა წაუკითხოს.

კითხვა: გაგონილი მაქვს, რომ იდეა ერთი ღმერთის შესახებ გაჩნდა ეგვიპტის ფარაონ ეხნატონის დროს ბიბლიის გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე. მაშინ კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იყო მზად მიეღო ან დაეჯერებინა ეს იდეა, ამიტომ, ამ ფარაონის გარდაცვალების შემდეგ, ის გაქრა. მეუფე, როგორ აფასებთ ამ ჰიპოთეზას? შეეძლო თუ არა ღმერთს უკვე იმ დროში ადამიანებისთვის თავისი არსებობის ნიშნები მიეცა?

მიტროპოლიტი ილარიონი: რა თქმა უნდა, მე ვფიქრობ, რომ ღმერთი სხვადასხვა დროს ადამიანებს თავისი არსებობის გარკვეული ნიშნებს აძლევდა. ეხნატონი ცდილობდა მრავალღმერთიანობაზე უარი ეთქვა, რომელიც მის დროს გაბატონებული იყო ეგვიპტეში, და თავისი ხალხისთვის ერთი ღმერთის თაყვანისცემა ესწავლებინა. ამავე დროს, მას მიაჩნდა, რომ ერთი ღმერთი – ეს მზეა, ანუ ის იყო არა მხოლოდ ერთი ღმერთის თაყვანისმცემელი, არამედ მზის თაყვანისმცემელიც. ის ლექსებს წერდა ამ ღმერთის პატივსაცემად, ბარელიეფები იქმნებოდა მზე ღმერთის გამოსახულებით. მას შემდეგ, რაც ის მოკვდა (იმ დროს ფარაონები დიდხანს არ ცოცხლობდნენ), ეს კულტი განადგურდა, და უკვე მისი მომდევნო ფარაონი მრავალღმერთიანობას დაუბრუნდა, რომელიც ძველ ეგვიპტეში არსებობდა.

ამავდროულად, მართლაც, ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა კულტურებში და სხვადასხვა დროში (მათ შორის იმ ქვეყნებში, სადაც მრავალღმერთიანობა და წარმართობა ქარობდა), ცალკეული ადამიანების მცდელობებს მიახლოებოდნენ ერთი ღმერთის გაგებას. აქ შეიძლება გავიხსენოთ ძველი საბერძნეთი, შეიძლება გავიხსენოთ პლატონი, რომელიც თავის დიალოგში „ტიმეოსი“ ძალიან მჭევრმეტყველურად აღწერს დემიურგს, ანუ მთელი სამყაროს შემოქმედს. სინამდვილეში, საუბარი მიდის ერთ ღმერთზე. მიუხედავად იმისა, რომ პლატონმა არ უარყო წარმართული რელიგია, იგი მას ფილოსოფიურად აღიქვამდა. მის წარმოდგენაში იმ ღმერთმა, რომელმაც მთელი ეს სამყარო შექმნა, სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

კითხვა: მამაჩემი ჩემს ნათლობას იმ პირობით დათანხმდა, რომ ნათლიად მის დას დავიყენებ. მაგრამ რადგან მამიდა სხვა რეგიონში ცხოვრობს, მან დაგეგმა რომ ტაძარში ნათლიის სახით თავისი ერთი ნაცნობი მოიწვიოს, რომლის წარდგენასაც მღვდელთან თავისი დის სახელით, მის მაგივრად აპირებს. მეუფევ, მე ძალიან მამრკოლებს ასეთი ჩანაცვლების მცდელობა, ფაქტობრივად, მოტყუების, განსაკუთრებით ჩემი ცხოვრების ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე. რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?

მიტროპოლიტი ილარიონი: მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოტყუება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, როცა საუბარი ნათლობის საიდუმლოს ეხება. ამიტომ, თუ ის და ადგილზე არ იმყოფება, ეს ასეც უნდა ითქვას. თუ გულისხმობთ, რომ და დაუსწრებლად იქნება ნათლია, მაშინ, ალბათ, ამაზე მღვდელთან შეიძლება მოილაპარაკოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში სულაც არ არის საჭირო სხვა ქალის საკუთარ დად წარმოჩენა.

კითხვა: რა მოთხოვნებს აყენებს ეკლესია ნათლიების მიმართ და რა პასუხისმგებლობას აკისრებს მათ?

მიტროპოლიტი ილარიონი: თუ საქმე ეხება ჩვილის ნათლობას, მაშინ ნათლიები – ეს ძირითადად არიან ისინი, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ ამ ჩვილის ქრისტიანულ აღზრდაზე. თუ საქმე ეხება ზრდასრულთა ნათლობას, მაშინ ნათლიები – არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ უკვე ზრდასრულ ადამიანს, გახდეს სრულფასოვანი ქრისტიანი. ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელიც ნათლიებს ეკისრებათ, ეს არის ის, რომ ისინი თავად უნდა იყვნენ სრულად ეკლესიური მართლმადიდებელი ადამიანები, საკმარისად ღრმად იცოდნენ მართლმადიდებლური სარწმუნოება და შეეძლოთ დაეხმარონ იმ ადამიანს, ვისთვისაც ისინი ნათლიები გახდებიან.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა დაუსწრებლად წესის აგება ადამიანისთვის, რომელიც მრავალი წლის წინ არის გარდაცვლილი? შეხვდებიან თუ არა იმ ადამიანების სულებს, ვისაც დაკძრალვის დროს წესი აუგეს, იმ გარდაცვლილთა სულებს, ვისზეც წესის აგება არ შესრულებულა?

მიტროპოლიტი ილარიონი: თუ ადამიანი გარდაიცვალა და მას წესი არ აუგეს, მაშინ წესის აგება ყოველთვის შეგიძლიათ, მათ შორის დაუსწრებლად და მრავალი წლის შემდეგაც. როგორ და ვის ხვდებიან გარდაცვლილები სიკვდილის შემდეგ, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ თუ მოვუსმენთ ადამიანებს, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი განიცადეს (და საკმაოდ ბევრია ასეთი ადამიანი და ასეთი მოწმობები), მაშინ ისინი ხშირად ამბობენ, რომ შეხვდნენ თავიანთ გარდაცვლილ ნათესაებს.

წესის აგება იმ ადამიანებთან მიმართებაში სრულდება, რომლებიც მონათლულები იყვნენ და იყვნენ ეკლესიის წევრები. მაშინაც კი, თუ ისინი არ იყვნენ ძალიან გულმოდგინე ეკლესიის წევრები, არ ეზიარებოდნენ და არ აბარებდნენ აღსარებას, ჩვენ ასეთ ადამიანებს წესს მაინც ვუგებთ. ჩვენ წესს არ ვუგებთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ მონათლულები, სხვა რელიგიურ ტრადიციებს მიეკუთვნებოდნენ ან იყვნენ ეკლესიის მოწინააღმდეგენი და ღმერთის არ სწამდათ. ასეთი ადამიანებისთვის წესის აგება არ არის მიღებული, და მათი სიკვდილის შემდგომი ხვედრი ღვთის ნებაზეა მინდობილი.

მე მინდა ეს გადაცემა იესო ქრისტეს სიტყვებით დავასრულო მარკოზის სახარებიდან: **რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-ილოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს**“ (მარკოზი 16.16).

ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ. თავს გაუფრთხილდით, თქვენს ახლობლებს გაუფრთხილდით და უფალი გფარავდეთ ყველას.

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური